ოქმი:**ო31. 3124052001**
თარიღი:**21/02/2024**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი №2

ქ. ლანჩხუთი

15. 02. 2024 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები ვერიკო კვირკველია და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდობაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე, მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ალეკო კირვალიძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა რამდენიმე საკითხი და მიმართა ბიუროს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხები დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ალექსანდრე სარიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კურორტ გრიგოლეთის მე-2 და მე-6 ქუჩებისთვის ნოდარ დუმბაძის სახელის მინიჭების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

4. „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის მიზნით, განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

6.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ალეკო კირვალიძე/

7. სხვადასხვა საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის

პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2024 წლის 27 თებერვალი 12:00 საათი.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა.** მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 2100000 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით უნდა მიიმართოს 110527 ლარი, სულ პროექტის ღირებულება შეადგენს 2210000 ლარს. აქედან, ქალაქ ლანჩხუთში გურიელის, ნინოშვილის, ურუშაძისა და ყაზბეგის ქუჩების რეაბილიტაციაზე 1157895 ლარი, მათ შორის რეგ. ფონდიდან - 1100000 ლარი, ჩოჩხათი-არჩეულის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 1052632 ლარი, მათ შორის - რეგ.ფონდიდან 100000 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N 2401 განკარგულებით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოიყო 748000 ლარი.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია.
2.დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.
3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4 . მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მისი განმარტებით, „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 10 ოქტომბრის N 784 ბრძანებულების პირველი მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად, მიწის ნორმატიულ ფასს საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით წელიწადში ერთხელ, არა უგვიანეს ყოველი წლის თებერვლისა, ადგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოები – საკრებულოები. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24–ე ნაწილის „ე„ პუნქტის „ე .გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი, საკრებულოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნორმატიული ფასის დადგენა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ, მომზადდა ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტების პროექტები. ამასთანავე, ამავე დადგენილებითვე ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 თებერვლის №7 დადგენილება.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია. 2.დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.
3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის

მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კურორტ გრიგოლეთის მე-2 და მე-6 ქუჩებისთვის ნოდარ დუმბაძის სახელის მინიჭების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას წარუდგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ,** რომლის განმარტებით, სამთავრობო კომისიიდან მიღებულია თანხმობა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია კურორტ გრიგოლეთის მე-2 და მე-6 ქუჩებისთვის ნოდარ დუმბაძის სახელის მინიჭება. მან ასევე აღნიშნა, რომ სასურველია, აღნიშნული ქუჩების დამისამართება განხორციელდეს საკურორტო სეზონის დაწყებამდე.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარის, **კარლო კვიტაიშვილის** განცხადებით, ზოგადად, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ქუჩების დამისამართებასთან ერთად, უნდა მოხდეს შესაბამისი აბრების დამზადება.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარემ, **ია მოქიამ** აღნიშნა, რომ გრიგოლეთის მთავარი ქუჩა უკვე დამისამართებულია და რადგან ეს არის საკურორტო ზონა, კარგი იქნება, თუ პირველ რიგში მოხდება აღნიშნული ქუჩების დამისამართება.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კურორტ გრიგოლეთის მე-2 და მე-6 ქუჩებისთვის ნოდარ დუმბაძის სახელის მინიჭების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2.განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო", „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", „ლანჩხუთი საქართველოსთვის".3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 10 წევრი.

მომხრე ბიუროს 10 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მისი განმარტებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია შემოიღოს ამ კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე ერთიანი განაკვეთის სახით ან/და ამ ერთეულის ტერიტორიაზე ცალკეული დარგების ან/და საქმიანობის სახეების მიხედვით, ამავე კოდექსით დადგენილი ზღვრული განაკვეთის ფარგლებში. ამავე კოდექსის 204-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მიწაზე საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საგადასახადო წლის 1 აპრილისათვის მოქმედი განაკვეთებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საკრებულომ ყოველწლიურად განსაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქონების გადასახადის განაკვეთი. აქედან გამომდინარე, მერიის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადდა შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი. ამასთანავე, ამავე დადგენილებითვე, ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 23 მარტის N10 დადგენილება. ვინაიდან ნორმატიული აქტის მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტიც.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
2.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის მიზნით, განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის

მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მისი განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს, მომართა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ გიორგი დუგლაძემ 2024 წლის 31 იანვრის N5/5046 წერილით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი და ძირითადი კატეგორიის უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასაცემად, შემდგომში აღნიშნული ქონების სსიპ ,, ენერგო - პრო ჯორჯიასთვის “, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად გადაცემის მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის „ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის “ 108-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება - სახელმწიფოს გადასცეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, გარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი (განუსხვისებელი) ქონებისა. ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის პოზიციით, აღნიშნული ქონების (ს/კ 27.00.353) სახელმწიფოსთვის გადაცემა არის საჭირო, ვინაიდან მუნიციპალიტეტი მოკლებულია შესაძლებლობას, უზრუნველყოს ხაზოვანი ობიექტის ოპერირება და მოვლა - პატრონობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მოთხოვნილი ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემასთან დაკავშირებული საკითხი განიხილოს საკრებულომ და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. სახელმწიფოს მიერ მოთხოვნილ დამატებითი კატეგორიის ქონების (ხაზობრივი ობიექტი (ს / კ 27.00.353), კომპლექტური ტრანსფორმატორები და უძრავი ქონება - (ს/კ 27.09.41.139)) გადაცემასთან დაკავშირებული საკითხის განხილვისას გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 108-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ საკრებულომ სახელმწიფოს მიერ მოთხოვნის წარმოდგენიდან 45 დღის განმავლობაში არ განიხილა და არ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება, მაშინ მოთხოვნილი დამატებითი კატეგორიის ქონება სახელმწიფოსათვის გადაცემულ ქონებად ჩაითვლება და სახელმწიფო ქონებად დარეგისტრირდება.

მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, ანალოგიური პროცედურა უნდა დაიწყოს ჯიხეთის დედათა მონასტერთან დაკავშირებით.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ შეიძლება საჭირო გახდეს წერილობით მიმართვა, რადგან ტრანსფორმატორი დგას საპატრიარქოს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის მიზნით, განკარგვაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ”ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.
2.დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.
3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად

განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **ალეკო კირვალიძემ.** მან აღნიშნა, რომ „სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად განსახილველად და მოსაწონებლად წარმოდგენილია ზემოთ აღნიშნული ფონდიდან 2024 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა:

1. ქ. ლანჩხუთში სპორტული დარბაზის მშენებლობა - სავარაუდო ღირებულება 2900000 ლარი;

2. ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩაზე N114-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საძირკვლის რეაბილიტაცია - სავარაუდო ღირებულება 144000 ლარი.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** განცხადებით, აღნიშნული შენობა არის კატასტროფულ მდგომარეობაში. თავის დროზე აქ მოხდა ბევრი უკანონო მიშენება, რაც კიდევ უფრო ართულებს ვითარებას. რამდენჯერმე ჩავარდა რეაბილიტაციასთან დაკავშირებით გამოცხადებული ტენდერი, მაგრამ კიდევ ერთხელ შეეცდებიან დააინტერესონ რომელიმე კომპანია, რათა მოხდეს შენობისთვის გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება. რაც შეეხება სპორტული დარბაზის მშენებლობას, აღნიშნა, რომ მზადაა პროექტი. გარდა ამისა, რეგიონული განვითარების ფონდმა მუნიციპალიტეტს აჩუქა მეორე პროექტი, რომელიც არ არის ისეთი მასშტაბური და გაცილებით იაფია. ანალოგიური პროექტი ხორციელდება რამდენიმე მუნიციპალიტეტში. შენობაში გათვალისწინებულია დაახლოებით სამას კაციანი დარბაზი და ოცამდე ოთახი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის **გიორგი ჩახვაძის** აზრით, ასეთი ლამაზი შენობის აშენება ცენტრალური გზის პირას უფრო უპრიანია, რასაც დაეთანხმა მუნიციპალიტეტის მერი, რომლის თქმით, ამ საკითხზე მასაც აქვს ნაფიქრი, მაგრამ საკმარისი ტერიტორია არ არის. გარდა ამისა, აღნიშნა, რომ ყოფილი უფასო სასადილოს შენობა მდგრადობასთან დაკავშირებით გადაგზავნილი იქნა ექსპერტიზაზე სამხარაულის ეროვნულ ბიუროში და ექვემდებარება დემონტაჟს, რის შემდეგაც გაიწმინდება აღნიშნული ტერიტორია. ასევე, პროექტში არ არის გათვალისწინებული, მაგრამ აპირებენ სპორტული დარბაზის ეზოში კორტის მოწყობას. მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, თუკი შეთანხმდებიან აღნიშნულ პროექტზე, იგი გამოცხადდება გარდამავალ პროექტად. გარდა ამისა, საჭიროებიდან გამომდინარე, შესაძლებელია პროექტში გარკვეული ცვლილების შეტანა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, **ვერიკო კვირკველიამ** აღნიშნა, რომ პრიორიტეტი უნდა იყოს ბავშვების გამაჯანსაღებელი სხვადასხვა სპორტული წრეების ფუნქციონირება. ასევე, კარგი იქნება, თუ პროექტი გაკეთდება სლაიდების სახით, რათა ხალხი გაეცნოს და შეექმნას გარკვეული წარმოდგენა.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს, **გიორგი**

ხელაძეს და საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს, **ზაზა წულაძეს** მიზანშეწონილად მიაჩნიათ, რომ რამდენიმე კაციანი ჯგუფი ჩავიდეს წალკის ან ბოლნისის მუნიციპალიტეტებში და ადგილზე დაათვალიერონ დასრულებული პროექტი.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნა და წინადადება არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2024 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია.

2.განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 თებერვლის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ალეკო კირვალიძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, **ზაზა წულაძე** დაინტერესდა, ადმინისტრაციულ ერთეულებში რგფ-თან დაკავშირებით როგორი ვითარებაა და რა მოლოდინებია ამ მხრივ.

მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, უახლოეს დღეებში ექნებათ შეხვედრა ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან, რადგან თვის ბოლომდე მოხდეს ჩამოყალიბება იმასთან დაკავშირებით, სოფლების მიხედვით თუ რომელი გზა უნდა მოწესრიგდეს. ამ კუთხით, ყველა სოფელში მომზადდება ერთი პროექტი, რათა შემდგომ გამოცხადდეს ტენდერი.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** მიმართა მუნიციპალიტეტის მერს იმის თაობაზე, რომ რამდენიმე თვის წინ საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება ვაჟა თოდუას, დავით რამიშვილის და

ზაზა ჩხაიძის სახელების მინიჭების შესახებ, მაგრამ ამ მხრივ დღემდე არანაირ რეაგირებას არ ჰქონია ადგილი. ამასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ საკითხის შესახებ ჰქონდა საუბარი მინისტრის მოადგილესთან, რომლის განცხადებითაც ამ ეტაპისთვის მსგავსი გადაწყვეტილებების მიღება შეჩერებულია.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელშია გზის პრობლემა. რადგან რგფ-დან გამოყოფილი თანხით თითოეულ სოფელში უნდა მოწესრიგდეს ერთი გზა, საჭიროა ამ მხრივ შეჯერება და სწორი ანალიზი, რათა მოსახლეობას მიაწოდონ დასაბუთებული და დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რატომ არის ესა თუ ის პროექტი უფრო პრიორიტეტული და მნიშვნელოვანი სოფლისთვის.

მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ სოფლებში საჭირო იქნება სხვადასხვა მიდგომა, რის შედეგად შერჩეული უნდა იქნას ყველასთვის მისაღები სიტუაცია. ზოგადად, მუნიციპალიტეტისთვის ყველაზე დიდი გამოწვევა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაა. მისი აზრით, ფინანსური რესურსიდან გამომდინარე, რაც მიმდინარე წლისთვის გაიზარდა ორჯერ, უფრო პრიორიტეტული და სწორი გადაწყვეტილება იქნება, პირველ რიგში, სოფლებში ცენტრალური გზების მოწესრიგება, რის შემდეგ, ეტაპობრივად მოხდება შიდა გზების კეთილმოწყობა. ასევე, შესაბამის უწყებებთან მიღწეული იქნა თანხმობა იმის თაობაზე, რომ სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების პროექტები მაქსიმალურად გააკეთონ ადგილობრივმა შესაბამისმა სამსახურებმა. უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციულ ერთეულებში, უკვე მოწესრიგებული გზები მეწყრული პროცესების შედეგად, ფაქტობრივად, თავიდანაა გასაკეთებელი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **ვერიკო კვირკველია** დაინტერესდა, რა ვითარებაა ავტობუსებთან დაკავშირებით.

მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ მიდის მსჯელობა და სამუშაო პროცესი როგორც ავტობუსების მარშრუტის, ასევე მგზავრობის საფასურთან დაკავშირებით. თავის დროზე, მუნიციპალიტეტის მერმა შესთავაზა საკრებულოს წევრებს, ჩართულიყვნენ კომისიის მუშაობაში, მაგრამ ამ ეტაპისთვის მხოლოდ ორმა მათგანმა გამოთქვა სურვილი. ეს მარტივი პროცესი ნამდვილად არ არის. ამიტომ ერთობლივად უნდა იქნას გადაწყვეტილება მიღებული. სავარაუდოდ, ყველაზე იაფი ტარიფი იქნება ჯაპანა-ლესის მიმართულებით, რაც განისაზღვრება ერთი ლარის ოდენობით, ხოლო სხვა მიმართულებით - მამათის, ჩოჩხათის და წყალწმინდისკენ, სავარაუდოდ განისაზღვრება ორი ლარის ოდენობით. გარდა ამისა, კონტროლის მიზნით, ავტობუსებში დამონტაჟდება ვიდეო თვალი. ამასთან, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის ტრანსპორტის განყოფილების ერთ თანამშრომელს დაეკისრება ხაზინასთან ურთიერთთანამშრომლობა. საერთო ჯამში, ამის დარეგულირება ძალიან რთული პროცესია, ამიტომ გასათვალისწინებელია დიდ ქალაქებში ამ მხრივ არსებული გარკვეული გამოცდილებაც.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი